



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 212

ქალაქი ქუთაისი 25 ნომბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს N571-N573 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის N416 პუნქტის გასწვრივ, მე-5 სვეტში, ჩანაწერი: „238“, შეიცვალოს ჩანაწერით: „195“.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/,მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარეგლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
571	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი N30-ის ჩრდილოეთით	36.0	03.05.23.395
572	მიწის ნაკვეთი	რუსთაველის გამზირი N104ა-ს აღმოსავლეთით	101.0	03.02.21.354
573	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N15-ის ჩრდილოეთით	64.0	03.05.24.896

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია